1909 წ. გამოც. 10. ფასი ყველგან 10 კ.

# :ტარტაროზი:

იუმორისტული ალმანახი გამოდის მაშინ, როცა ეს მოსახერხებელი იქნება გამომცემლისათვის. ხელის-მოწერა არ მიიღება.
დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება ამ ადრესზე: Типографія «Шрома» для Алманаха.



Библиотека-Музей Академия наук ГССР
12 535

## კონსტიტუციური თამაშობა.

იჯდა შახი ტიკინა,
თამაშობდა მისთვინა!
უცებ, გაიღო კარი,
გამოჩნდა სპასალარი.
— შახო გეყოს ცელქობა
საქმე ცუდათ ეწყობა!..
ბეჯანუდენ მონები...
მიეცი კანონები!..
(შახი მოსწევს ისარსა,
სათამაშო ფიცარსა:
„კონსტიტუცია“ ცხვება,
ხალხი კი არა ცხრება!)

შახი ისევ თამაშობს!..
(ტყვილა ჯდომას ესა ჯობს...)
კვალად იღება კარი,
შემოდის სპასალარი.
— შახო, კმარა თამაში,
დამერწმუნე ამაში,
იზო-ხანი მაგრდება,
ხალხს შავი დღე ადგება!
მოხსენ კონსტიტუცია
წელან რო მიგიცია.
— კარგი, ჩემო ძვირფასო!
მინდა რუსეთს მივბაძო:
თუ დამარცხდენ მონები,
მოვსპოთ მაშ კანონები!

(შახი მისწევს ისარსა
სათამაშო ფიცარსა!)
გადის ჟამი, დროება...
ბრუნავს საწუთროება!
შახი ისევ თამაშობს
სპასალარი დარბაზობს:
— შახო ეხსენ ცელქობას,
ნუ აგზავნი ჭრელ კაბას*)
ჩვენს ჯარს მოაბეს ეშტი
ზე აგვაქუცეს რეშტი!
ბრძოლა ველარ შევძელი
და დავკარგეთ ენზელი...

*) ძვირფასი ჭრელი კაბა შაბს ეინ ულდოვ-ლეს გაუგზავნა საჩუქრად.

ისპაგნელ ბახტიარებს
აწ ვიდა დააწყნარებს?!
ჩვენ ვეღარა გვიშველის
ხალხი კანონს მიელის,
— სპასალარო, უთხარ ხალხს,
რომ უყვარს ის ილიშახს!
რომ მისცემს კანონებსა
ახალ მონაგონებსა...
რესპუბლიკაც არა მშურს,
ოღონდ ნუ მკრავენ პანღურს.
და კვლავ თავის ფიცარსა
მიაბრუნებს ისარსა.

**ეშმაკი.**

## ახალი ამბები.

**ავადმყოფი მწერალი.** თფილის სასულიერო სემინარიის გვერდზე, ტრამვაის მოსამსახურეებმა აიყვანეს შუბლ-გატეხილი ქართველი კაცი. მაყურებელთა სიტყვით ის თურმე რამოდენიმე ჯერ დაეჯახა ყოჩივით სემინარიის ბურჯებს. მიუხედავათ სქელი კანის, შუბლი მაინც გაუსკდა და უგრძნობლად დაეცა. როდესაც უცნობი თვით-ცნობიერებაში მოვიდა, (გონს მოყვანა შეუძლებელი აღმოჩნდა) მან განაცხადა: «მე ვასილ წერეთელი ვარ. თფილისის სემინარიამ შექმნა ის ობროდი მწერლობა და მიმართულება, რომელიც ახასიათებს ჩვენს სოციალ-დემოკრატიას და მინდოდა იმისი დანგრევავო". თავ-მოყრილი საზოგადოება განცვიფრებული ისმენდა უცნობის სიტყვებს. დასასოულ ბ-ნი მწერალი თავისი სურვილისამებრ გაგზავნეს სულით ავათმყოფთა თავშესაფარში, ანუ ალმანახ „ძალის" რედაქციაში.

**ძვირფასი საჩუქარი.** ამხანაგობა „გეორგიას" წევრებს საზოგადო კრებაზე დაუდგენიათ: მიართვან ძვირფას გამგეს, ისე მეხუზლას სასიქადულო მოღვაწეობისათვის „წმინდა გიორგის ხატი" პირველი ხარისხისა ძვირფასი თვალ-მარგალიტებით მოქედილი.

**ქუთათურების განზრახვა.** რადგანაც ქუთაისში ვერც ერთმა რიგიანმა გაზეთმა ვერ იარსება, ამიტომ წარჩინებულ ქუთათურ მოღვაწეებს განუზრახავთ გამოსცენ „კლუბის ფურცელი". ნებართვა უკვე ითხოვეს სადაც ჯერ იყო და მალეც აიღებენ. შინაარსი პირველი ნომრისა: მოწინავე,—აზარტული „ბაქარა"—ვ. მ—ძისა; ფელეტონი: „პროფერანსი, როგორც უბრალო წყლის ნაყვა"—ბ. გ—სა; კრიტიკა: „კონჩინკა და ქურთი, როგორც დრო-მოკმული გასართობი კლუბებისა"—ი. ავ—ისა. „დურაჩკა" გულითადი სიამოვნებაა—დ. მ—სა.

როგორც საუკეთესო გასართობს, გაზეთში ადგილი დათმობა აგრეთვე ხუცესი ს. მჭედლიძის „მეცნიერულ" წერილებს. რედაქტორი მ. ნ. წ—ძე.

**შავი კატა.** ამ ბოლო დროს, ზოგიერთებს შეუნიშნავთ „ევერიის", „დროებისა" და „ნიშადუროვან" რედაქციებ შორის შავი კატა დარბის. კატას კუდი კოწია თუმანიშვილისა აქვს თურმე, „კლანჭები" ერგნელისა, ფერი ვალერიან გუნიასი; გონიერება ხეობელისა; ჩამომავლობა ამირეჯიბისა და ზნეობრივი სიფაქიზე იასე მეხუზლასი.

ამბობენ კატის სირბილი ომს მოასწავებს სერბიასა და ავსტრიას შორისო.

*
* *

იტირე, დედავ, იგლოვე, მამავ,
დაიმდუღრენით ცრემლით, თვალებო,
იმოოქმე, დაო, და იქვითინე,
სატრფოვ, ბედისგან განაწვალებო!..
ცაც ჩამოსტირის დედამიწასა,
თითქო თქვენს ბედსა ის იზიარებს,
და თავის მწარე მოწყენილობით
უფრო აღრმავებს გულის იარებს...
ქარი კი კვნესის...ეს ის ხმებია,
მაზე შორის მხრის მინაბარები,
თქვენი შვილების, ძმათა, საყვარელთ
შემონათვალი, დანაბარები!
ქარი ქვითინებს... ეს ის ხმებია...
განა თქვენ თითონ არ გეყურებათ!
ეგ იმ ქვეყნიდან გამოატანეს
ჩვენთვის გასაგონ საყვედურებათ!
შიგ ისმის წყევლა, ბედისა მდურვა,
ხმა შიმშილისა, კილო სიცივის...
დიახ, ეგ მათი გულის კვნესაა,
ქარი, მწუხარე, რომ ჩამოგვჩივის!
სჩივის ის, სჩივის... მაგრამ გამგონე
არავინაა, ტყე, ატეხილი,
შორით ყურს უგდებს ამ სევდის კილოს,
ადამიანზე გულ გატეხილი!
ქარი კი სჩივის... წამოპრილს გრიგალს
იგი ამ კილოს წაალებინებს
და წუთისოფლის გულქვაობასა
შორს მთის ჯურღმულებს გააგებინებს!..
...და დედაც სტირის, იქ მამა გმინავს,
ჩამოუმდღერავთ ცრემლით თვალები
და სწუხს, და მოსთქვამს, მწარედ ქვითინებს
სატრფო, ბედისგან განაწვალები!..

**ნ. ზომლეთელი.**

### † იასონ მეზრელიძე.

მეტეხის ბნელ კამერაში ტანჯვით ამოხდა სული... მას არ გაუგონია ერთი თბილი, ამხანაგური სიტყვა, არ დაუნახავს თანაგრძნობის გამომხატველი სახე. მის გახურებულ შუბლს არ მიჰკარებია მშობლური ხელი, არ მოუწმენდია სიმწარის ოფლი... მოკვდა ყველასაგან მივიწყებული... ციხის დარაჯებმა, ჩუმათ, ქურდულათ ჩაფლეს ის შავ მიწაში... მორჩა და გათავდა...

საბრალო იასონი ჯერ სულ ახალგაზდა იყო ასე 32—33 წლის. სასულიერო სასწავლებლის გათავების შემდეგ 1891 წ. ის შევიდა თფილისის სასულიერო სემინარიაში. 1893 წელს არეულობის დროს ის სხვებთან ერთათ დათხოვნილ იქნა სემინარიიდან. ამ დღიდან იასონს იტაცებს ცხოვრება, ის მთელი თავისი არსებით ჩაება საერთო ფერხულში... გურიაში პირველათ გაისმა იასონის ხმა და შედეგებული ცხოვრება აატოკა შეანძრია... ის ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებული იყო, მისი სიტყვები გულსა და სულში სწვდებოდა, ხიბლავდა მაყურებელთ... უკანასკნელ 1906 წელს იასონს ჩვენ ვხედავთ ბათუმში, აქედან ის ოფილისში გადმოსახლდა... სადღა იყო ის აღფრთოვანება, აღგზნებული სიყვარული საქმისადმი?!. ბოლო ხანებში საბრალო იასონი სრულიად გატყდა, დაუძლურდა, მას თითქმის აღარაფრის გაკეთება აღარ შეეძლო... ხშირათ შეხვდებოდით მას გოლოვინის პროსპექტზე, დაღრემილს... შარშან ენკენისთვეში ის ქუჩაში დაიჭირეს და მეტეხში უკრეს თავი... ამ დღიდან ის სრულიად მოსწყდა ქვეყანას... მისი ამბავი აღარავის უკითხავს... ის აღარავის გახსენებია... საბრალო იასონი ჩრდილოეთ რუსეთისაკენ უნდა გაეგზავნათ, მაგრამ სიკვდილმა ის შეიბრალა და აქ ჩაიკრა თავის ცივ გულში...

შენი მეგობრები არას დროს არ დაგივიწყებენ საბრალო იასონ!

**—ლი.**

## შეკითხვები ქუთაისიდან

თქვენო ჯოჯოხეთის უდიდებულესობავ—ძლევა შემოსილო ეშმაკო!

უქვეშევრდომილესი მონანი—ქუთაისის ეშმაკთა გუნდისანი—ფრიად მწუხარენი ვართ, რომ ასეთი ლამაზი კუთხე თქვენი საბრძანებლოისა, თავისი „სახეიერ ლოვანი მოღვაწეებით" და ფშვიადი მხევლებით, თითქმის სრულიად დაივიწყეთ და ჩვენი ქალაქის ბაღის ცალ გვერდზე ახლად დაგებული ქვა-ფენილი არა ღირს გახადეთ ტერფისა თქვენისა... ამიტომ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს მოგმართოთ ქვემორე ამისა მოყვანილი შეკითხვებით.

### შეკითხვა პირველი.

მოეხსენება თუ არა თქვენს უდიდებულესობას, რომ ქუთაისის ქალ. „კრუტოკის“ წევრებმა არაჩვეულებრივი საშუალება გამოიგონეს სრულ-წლოვან ქალვაჟთა კლუბში მისაზიდავათ, სახელდობრ აძლევენ პრემიას საღამოებზე დამსწრეთაგან იმ პირთ, რომელნიც მათ ყურადღებას მიიპყრობს ან სქელი და გძელი ბალნეულობით, ან სხეულის რომელიმე ნაწილის სიმშვენიერით, ან შესამოსთა კოხტა ტანმოდგმულობითა და სხვ...ჯერ-ჯერობით პრემიები მიიღეს: 1) ულვაშების მაღლა აწკეპისათვის (ვიღაც დეზიანმა), 2) საქოჩრაზე ბეწვეულობის დაგრეხისა და სავარცხლებით მათი გაძაგვრისათვის (ვიღაც მანდილოსანმა კეთილშობილი ჯიშისამ) და სხვ.

**პასუხი.** ძვირფასნო ქვეშევრდომნო ქუთაისისანო: გაცნობებთ, რომ ამბავი ესე არა არს განკერძოვებული და მით ღირსი უაღრესი ყურადღებისა. თანაარს ქუთათურ კლუბოსნებისა იკცევიან აგრეთვე თფილისად მყოფი ცირკი ნიკიტინისა. მაგალითისთვის მოვიყვან ამბავსა ამას: ბალანთა სიმრავლისათვის (ფაფარსა და ძუასა ზედა) მიიღო საჩუქარი საარაკომა კვიცმან აფრიკისამან და როგორ არ[illegible]უნდა მიეღო ის კაცსა დეზოსანსა.

ეშმაკი.

### შეკითხვა მეორე.

მოეხსენება თუ არა თქვენს უდიდებულესობას, რომ ქუთაისში ამ ხანათ „მაძებართა“ ინსტიტუტი დაარსთა და უფროსი მოხელიდან დაწყებული ვიდრე წვრილამდე ქეშმარიტ ქართველები არიან და არა რუსები პურიშკევიჩ-ტიმოშკინის და ძმათა მისთა სურვილების წინააღმდეგ.

**პასუხი.** უწინარეს ყოვლისა, ძმანო ქუთათურნო, არა რა არს ახალი ქვეშე მთვარისა, ქვეყანასა ზედა. თვინიერ ამისა მოქმედება სხვაგვარი იქნებოდა შეურაცხყოფა ყნოსვისა ჩვენისა ნაციონალურისა, უმაღლეს წოდებათა შინა უმთავრეს განვითარებულისა.

ეშმაკი.

### შეკითხვა მესამე.

მოეხსენება თუ არა თქვენს უდიდებულესობას, რომ ქუთ. რეალური სასწავლებლის ინსპექტორი თეატრში წასვლისნებას მოწაფეებს მხოლოდ მაშინ აძლევს, როდესაც პიესები იდგმება არისტოკრატთა ცხოვრებიდან, ხოლო უკრძალავს მათ ისეთ პიესებზე დასწრებას, რომელნიც მუშათა ცხოვრებიდან არიან ამოღებულნი. რომ იგივე ინსპექტორი თანამდებობას შესრულების დროს ჟამსა რომელსა წრეს გადადის და მოსეს სჯულის მიმდევარ ებრაელ მოსწავლეებსაც—ქრისტიან მოსწავლეებთან ერთათ ერეკება ხოლმე სასწალებლის ეკლესიაში.

**პასუხი.** მოქმედებასა ინსპექტორისასა არა ეწოდოს უკეთური, რამეთუ თავისუფლება სარწმუნოებისა აკისრებს ინსპექტორსა მას თავისუფლად მოეპყრას მოსწავლეთა თვისთა ყოველ რწმენისათა.

ეშმაკი.

### შეკითხვა მეოთხე.

მოეხსენება თუ არა ბატონ ეშმაკს, რომ პოეტი სვიმეონ ქვარიანი 6000 ქან. ქარის... მემანქნის...

**პასუხი:** მოითმინეთ, მოითმინეთ, მესმის მესმის, მესმის...

ეშმაკი.

### შეკითხვა მეხუთე.

მოგეხსენებათ თუ არა დიდებულო გრძელ-კუდიანი მათრახის მპყრობელო, რომ ქუთათური ნოქარ-შეგირდები სრული გატაცებით მიეცენ კარტის თამაშს და მთლად დაავიწყდათ თქვენი მათრახის კუდი.

**პასუხი:** აღსადგენათ კავშირისა გიგზავნით მათთვის თითო კუდს მათრახისა ჩემისას აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ეშმაკი.

### შეკითხვა მეექვსე.

მოგეხსენებათ თუ არა გულთამხილავო და ყოველ მეტაბლისადმი საქმისა მისისაებრ მიმზღველო, რომ ს. სვირში ქრისტეს მოციქულად მოვლინებულმა ხუცესმა მ. მიხეილ მჭედლიძემ თვისი სამწყსოის ერთ გლეხს ქალიშვილის ჯვარ-საწერ მოწმობის მაგიერ ს. ფაცხა-ნაყანევის ხუცესთან შემდეგი შინაარსის ბარათი გაატანა: „съ предъявителя сего письма, зажиточнаго крестьянина, взыскать въ мою пользу 10 рублей, которыя и пришлите мнѣ; за ваши же труды съ того же кретсьянина взыщите—сколько Вамъ угодно“... მოეხსენებათ თუ არა ისიც, რომ ამ გლეხმა მთლათ შემოიარა ქუთაისის საბლალოჩინო და ძლივს ერთი მედავითნის თავდებობით ელირსა ქალიშვილის გვირგვინქვეშ დადგომას?

**პასუხი.** ყურად ვიღე რა მოქმედება ხუცისა ამის მიხეილ მჭედლიძისა, განვიძრახე ვაცნობო საქმე ესე უკეთური მღვდელ-მოქმედთა ზნეობასა ზედა მარად ჟამს მოღალადეს ხუცესსა ქუთათურსა და გამრძმედილსა რედაქტორსა შინაურ სიდუხჭირეთა მამა სვიმეონ მჭედლიძესა.

ეშმაკი.

---

### ასეეის დღიური.

(სატირიკონიდან)

ერთხელ, დიდებული აზეფი ნელის, ქურდულის ნაბიჯით მიდიოდა პეტერბურგის გარე უბნის ბნელსა და მიყრუებულ ქუჩაში.

შენიშნა, რომ მას კვალდაკვალ მისდევს ვიღაც უცნობი. აზეფი შესდგა, გაინაბა, შემდეგ სწრაფად მოტრიალდა და თავისი მძლავრი ხელები სტაცა უცნობს.

— გამიშვი, გამიშვი! დაიკვნესა უცნობმა. ჩვენ ძმები ვართ; მე მომანდევს შენთვის თვალ-ყური მედევნებია: ხომ არ ღალატობ პოლიციის დეპარტამენტს.

როდესაც აზეფმა შეუშო ხელი, ჯაშუში შეკრთა და განაცხადა:

— ვიღაც უცნობი განუწყვეტლივ უკან დამდევს და თვალ-ყურს მადევნებს. მეშინია რევოლიუციონერებს არ ეგონოთ ჩემი კვალი.

ჩაუსაფრდენ და როცა უცნობი გაუთანასწორდა, უეცრად სტაცეს ხელი.

— გაები მახეში! ჩასძახა ჯაშუშმა.

— გამიშვი! მრისხანეთ უპასუხა უცნობმა. მე დაცვის განყოფილებიდან ვარ. მე გამომგზავნეს თვალ-ყური ვადევნო შენს მოქმედებას, ხომ არ გვღალატობ. მაგრამ გაფრთხილებთ, რომ მე ვიღაც ფეხ-აკრეფით მომდევს კვალდაკვალ და გაფაციცებით მადევნებს თვალ-ყურს.

ჩაუსაფრდენ და დაიჭირეს.

როდესაც აზეფმა ჩახედა ახლად დაჭერილს ქერა ვაჟკაცს თვალებში, გულიანად გადიხარხარა.

— ყმაწვილებო, დაიწყო აზეფმა; აი ეს პირველი დამდევდა მე; შენ მეორევ, დასდევდი ამას, შენ შავგრემანო ამ მეორეს უთვალთვალებდი, ხოლო ეს ქერა შენ გადევნებდა თვალ-ყურს შავგრემანო. მოდი და ნუ გაგეცინება.

მართლაც ბევრი იცინეს.

შემდგომად ამისა ხუთივენი მხიარული და ბედის მადლიერნი გაეშურენ მახლობელ რესტორანისაკენ, სადაც სამ-სამჯერ დალიეს პოლიციის დეპარტამენტის სადღეგრძელო.

ბაკაი.

---

### თებერვალი.

(გუძ. კიორგის)

თებერვალის თვეი დადგა
მოიხადა მზემ პირს რიდე,
ჩიორებმა მოგვაძახეს:
ახლოს სჩანსო ზამთრის კიდე.
მაშ საცაა ტყე და ველიც
გაიფუჩქვნის აყვავდება
ხაზეიმოთ მოკაზმული
კვლავ ბუნებაც აჩქეფთება,
მაგრამ მე კი რა წილი მაქვს
იმ საერთო გაზაფხულში?
ჩემი ტანჯვის ბოლო არ სჩანს,
სატრფო მიზის ცხრა კლიტულში!

ვ. ჭუანია.

***

ოდეს დატანჯულს, იმედ წარკვეთილს,
ფიქრთა ტალღებში მიმომცურავსა,
ვით შტოს, ქარისგან ძირში მოტეხილს,
ბედის მაწყევარს და მომდურავსა,
აღარ მშთენია რამ სასიცოცხლოდ,
ცხოვრების გზაზე ობლად მიგდებულს,
ხსნა შეუძლიან მხოლოდ და მხოლოდ
მაშინ შენს სახელს ქვეყნათ დიდებულს!..
თვალ-წინ მეხატვის მშვენიერება,
ციური სხივით გაბრწყინებული,
შიგ ჩაქსოვილი ბედნიერება
თვით სამოთხიდან გადმონერგული.
აი, იქ ვხედავ ახალს ცხოვრებას,
სულის მომხიბლელს, ანდამატს გრძნეულს,
თუ აქვს საზღვარი ლაღსა ცხოვრებას,
მარგალიტების მთად გადაქცეულს!
იმედის კვალი გულს ასხივოსნებს
და ახალისებს დაცემულს რწმენას,
გააფთრებულ ლომს ვინ დაიმონებს,
ან ვინ შეზღუდავს არწივის ფრენას!..
ტურფავ, მომეცი იმედით ხელი,
დეე, აღმეგზნოს კვლავ ცეცხლი ძალზე
რომ ერთხელ მაინც შემაშრეს ცრემლი
დაღლილ-დაქანცულს, მწუხარე თვალზე!.

**დათიკო გოგვაძე.**

*
**

(ჯუძღვნი ცხოვრებით დამტკბართ)

შენ როგორც გატყობ საკმარისათ გასქელებულხარ...
სჩანს მიგიგნია გამდიდრების ნამდვილი წყარო,
აღარც შეგცივა, დიდ ქურქშია გამოხვეულხარ
დაგიდგა რაღა განსვენების დრო სანეტარო!!
აწ ველარ მოგთხოვთ ჩაგრულების დაქომაგებას!
შენც სხვებთან ერთად შეუდგები ინათ ძაგებას,
და თან საქვეყნოთ ურცხვათ იწყებ იმის მტკიცებას
თითქო მშრომელ ხალხს კუპის ნაცვლად სხვარაშე ებას!!

ყველგან გაჰკივი, რომ შენ გიყვარს ქართველი ერი
ქართველების-კი მეტი წილი ჩაგრულებია,
და აბა მითხარ გაიძვერავ, საიდან გიყვარს
თუ მეტი წილი ამ ერისა შეგძულებია!

მეშას დატანჯულს, მუდამ მშიერს „კუპისტს“ ეძახი
როცა სატანაჯ, გარეშე თვით ვერასა ხედავ,
ოჰ, ნაძირალავ კუბი თითონ შენ გაალმერთე;
და მის გულისთვის ხალხს ატყვილებ. სიცრუით ჰკვებავ!!

შენ არ იყავი ამასწინათ წუწკი ძაღლივით
რომ ქუსა-ქუჩა ხახა მშრალი დაწანწალებდი?.
ის არ გიჯობდა მომკდარიყავ ა იმ ქუჩაში
თუ კი შემდგომად ფულს სინდისსაც ანაცვალებდი!!

შენ რომა გკითხოთ, მოდავწე ხარ პატივსაცემი
სხვის შესახედათ, ხალხში შეგაქვს «დამპალი» წვლილი,
ეს იმისათვის, რომ შემდეგში შე გაიძვერავ
თვით ამ საერთო ულუფიდან მეტი გზვდეს წილი!!

**იონა ოლუღელი.**



## საშუალო სკოლების რეფორმა*)

(შალიკოს ნაამბობი)

რადგან მზიან სუსხიანი
იყო გუშინდელი დილა,
სხვებთან ერთად, საცურაოთ,
გავეშურეთ მე და ილა.
იქ, ფერდობის მოლიპულზე,
ბევრი დაგვხვდა ჩვენი ტოლი...



ცურაობდენ და მათ ფეხ-ქვეშ
კრაპუნობდა ყინულ-თოვლი.
ხელს კრუნჩხავდა დილის სუსხი,
სახეს კბენდა სიო ცივი,
ვერ გვათბობდა, თითქო ტყვილად
დაგვცქეროდა მზისა სხივი.
მოვიკრიბეთ ვაეკაცობა
დავექანეთ ჩვენც „კანკებით“,
მაგრამ ილა გაიშხლართა
და გადადის მალაყებით.
ჩვენ შეგვექნა ერიამული,
დავსპეივლეთ და ტაში ვსცემეთ,
მაგრამ ჩემს მტერს რა სიამეც
ჩვენ იმ ჟამად იქ ვიგემეთ.

---

*) უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ძირითადი რეფორმა, სწავლა-აღზრდის საქმეში, შეეხება კერძოთ ქართულ გიმნაზიას და მომდინარეობს უმაღლესი მთავრობისაგან; სკოლის ადმინისტრაციას ამ საუცხოვო რეფორმათა მოხდენაში არავითარი წილი არ უძევს.

**ჯუმაკი.**

ან კი ჩვენ რას ვიფიქრებდით
თურმე ალყა მემოგვარტყეს,
ზოგს ყურებში გვტაცეს ხელი
ზოგს ლავაშიც შემოგვარტყეს.
იძახოდენ: «Эхъ вы черти!
Маршъ въ участокъ музыканты!
Развѣ вамъ не говорили
Шчобъ закраситъ бѣлы канты?»
დაგვიფრინეს ფარასავით
და მიგვასხეს უჩასტკაში...
ხალხი ისე ირეოდა,
ფუტკრებმა რო იცის სკაში.



მოგვაშლიპეს თავზე ქუდი,
გააკეთეს სტოლზე კალო,
მოიტანეს საღებავი,
ერთმა ჩოთქი ამოაველო
და დაიწყეს **თეთრი კანტის**
საღებავით გაშავება,
ჩვენ ვტიროდით, არ გველირსა
ამ რეფორმის გათავება.

**გოროდოვოი.**

---

ეშმაკის კალენდარი.

**თებერვალი**

**ხუთშეტიდან—ოცდაორამდე**

**(15—22).**

ამხანაგობა „გეორგიას“ გაკოტრების მოჭყვება „ივერიის“ რედაქციის გაკოტრება. ქუთაისის გენერალგუბერნატორმა, შეიძლება მიაქციოს ყურადღება, ჩოხატაურის ბოქაულის თვითმპყრობელობას და შეუთვალოს: „ეგ მეტის-მეტია მეგობარო, შენ და შელია რომ „ერთგულებას“ იჩენთო“. (კვალად ვიმეორებ, რომ ეს მუხლი ჩემი კალენდარისა ერთობ სათუოა და ამიტომაც ვხმარობ სიტყვა „შეიძლებას“).

სახელმწიფო დუმაში ოქტომბრისტები შეიტანენ შეკითხვას: „მოეხსენება თუ არა უწმინდეს სინოდს, რომ წელს რუსეთში ლობიოს მოსავალი სანახევროთ შემცირდა და ამიტომ სცნობს თუ არა ის საჭიროთ დიდ-მარხვის სამ კვირა ნახევრამდე შემოკლებას?“ შეკითხვა სკანდალს გამოიწვევს.

შავი ქვით მაძღარი გიორგი ზდანოვიჩი სასიამოვნო სიზმარს ნახავს: „ვითომ ეგ. გეგეჭკორი მოწამის გვირგვინს ადგამს თავზე“, მაგრამ გამოეღვიძება და გაიგებს, რომ ეს ძველი დროს სამსახურისათვის იყო და არა დღევანდელი „მოღვაწეობისათვის“.

სვიმონ ქვარიანი საჩივარს აღძრავს თფილისის ქალაქის წინააღმდეგ, რომ წმინდა ნინოს სასაფლაო მემკვიდრეობით მას ეკუთვნის, რადგან დაამტკიცებს იქ ძველათ ჩემი წინაპრები ბალახობდენო. დაიცავს გ. გვაზავა.

ქართული დრამატიული საზოგადოება დაადგენს: მიეცეს უფლება ახალ რეჟისორს ალ. ყანჩელს მხოლოდ წარმოდგენებზე დასწრებისა და ჯამაგირის მიღებისა; რეპეტიციებზე დასწრება სასტიკათ აეკრძალოს; როლები, განურჩევლათ სქესისა, ფარული კენჭის ყრით განაწილდეს. მიენდოს ვალერიან გუნიას იბსენის ერთ ერთი დრამის მოპარვა.

როდესაც რევოლიუციონერები თეირანს აიღებენ, შაბი განაცხადებს: „მიირთვით შვილებო კონსტიტუცია, გინდა რესპუბლიკა, განა არ იცით, რომ მე სულ თქვენს კეთილდღეობაზე ზრუნვაში ვატარებდი დროსაო“.

სულთანი აბდულ გამიდი განიზრახავს კონსტიტუციის გაყიდვას, მაგრამ მუშტარი არ აღმოჩნდება, ვინაიდან ვისაც უნდა იმათ აქვთ და ვისაც არა აქვს იმას არ უნდა.

ევროპა ჯოჯოხეთის ეშმაკს გააკინებს.

**ეშმაკი.**



## მესტვირული.

გული ბოლმით მაქვს აღსავსე
კბილით მიპირავს სულია,
ისევ შენ, ჩემო ქამანჩავ,
შენ გამიმრთელე წყლულია.
გავყვეთ გამოვყვეთ აქა იქ,
გავეცნათ ამას, იმასა,
ნიკოკი გამოგვიხედე
ამ თებერვალის დილასა.
როგორ ბრძანდება ქეიფში
რა უყო „პოსტრედნიკობა“
შენ გფიცავ დიდათ მეწყინა
რომ ვერ გასვლია ხრიკობა.
ვეტყვი: ნუ დარდობ გენაცვა,
ჩვენო ალაპის ჩოგანო,
ჩამოითვალე და ნახავ
რამდენი დასვი ბოგანო.
საყდრები ჩამოვიაროთ
თავაზით, მორიდებულათ
და ტკბილათ ჩავაღიღინოთ
თავიდან წამოწყებულათ:
მოხუცები რომ ცოტა სჩანს
ნეტავ რაიქნენ სხვებიო
რათ დასვენ ჯიბე ქარაფათ
მზიარებლებმა მღვდლებიო!
ცოტა კი სჭარბობს შარშანდელს
წადილი, საკურთხებიო,
უსურვოთ მაგათ ცხონება
ამაო, ქვეყნიერიო.
მღვდლებს ჯერ ნურაფერს უმოწმებთ
დრამის კრება აქვთ მგონია,
და მაშინ გავაშანშალოთ
ვინც როგორ მოსაწონია.
ერთი ეს გმირიც შევამკოთ:
ქორჩილავაა ქებული,
ერთობის დროში განთქმული
ხალხისთვინ თავდადებული.
როცა უქირდა, ნიგოითს
ძმასავით მისცეს ბინაო,
ეხლა კანტროლათ ბანკიდან
მეხვითი მოგვევლინაო.
ძროხები ჩაახარჩოვა,
ლამის აგვყაროს შინაო,
თითო ქცევაში გამომჰყავს
სამ-სამი დესეტინაო;
მანჭარიც მოვიხსენიოთ
„დურმიშხანობით“ ქებული
უზნეობისთვის, სკოლიდან
პანღურით გამოგდებული,
ხუნხუზი ხან შავრაზმელი,
ვალიკოს მირონ ცხებული;
აზეფის საქმეც შეიძლო
საშინლათ მოხერხებული.
ვარლამსაც უძღვნათ სალამი
საწყენში მოვერიდოთა,
უსუსურია საბრალო
ათასჯერც გავადიდოთა...
ვალიკოს ფეხთან ჭინჭყალობს
აბა რის შეგვეშინდოსა,
ვერ დაგვიტვირთავს ჭინჭველას
რაცა აქვს რო აჰკიდოსა...
ახლა დავწყნარდეთ ქამანჩავ,
ცოტა მომილბა გულია,
ისევ განვაგრძოთ როდესაც
ყელს მოგვებჯინოს სულია.

**კოლომონი.**

## გაკვრით.

ამბავი ესე მოხდა თებერვლის შვიდსა დღესა. იქნებოდა ცხრა საათი, როცა თეატრის დერეფანში თავი შევყავი. რამდენსაც ვუახლოვდებოდი დარბაზის კარებს, იმდენათ უფრო თავბრუ მეხვეოდა. მაგრამ იმ იმედით, რომ ჩემი მეგობარი იაკინთე იქ დამხვდებოდა შევაღე დარბაზის კარები. დარბაზი ხალხით სავსე იყო. პირველ რიგში თვალი მოვკარი იაკინთეს. ისეთი დაღრეჯილი იყო, ისეთი, რომ შემეცოდა და გვერდში მოვუჯექ.

— გამარჯობა იაკინთე!—მივესალმე.

ის შემობრუნდა და ისეთი თვალებით შემომხედა, რომ კინაღამ ავტირდი.

— თუ ძმა ხარ, ნუ გამანძრევ, თორემ შევრცხვები ამოდენა ხალხში, გულზე მაზიდებს საშინლათ.

— შე ოჯახქორო, არც შენ და არც მე მთელ ამ სეზონში ეთო წარმოდგენას არ დაგკლებივართ და კაი დღე დაგვადგებოდაზ კიდევ ბარაქალა ჩვენ ბიჭობას, რომ ამდენ ხანს დავმაგრდით.

— მართალი ხარ! მეც სხვა ვერაფრით ამიხსნია. მთელი სეზონი ისე ცივათ მომივლის გულზე, რომ თავბრუ მესხმის.

— ცოტათი მივიწყებული მქონდა და დღეს „სამშობლოს“ დანახვამ მთელი სეზონი თვალწინ დამიყენა.

— კიდევ არაფერი, რომ ამით გათავდებოდეს და ბლექი არ გაგვიჩნდებოდეს. ბარე თვრამეტამდე პიესით გაგვიმასპინძლდენ ამ სეზონში და ყველა ისე დამტვერიანებული იყო, რომ თუ იმდენი მტვერი და ბაცილები მოვინელეთ ბარაქალა ჩვენ კუჭებს.

— ასეთ უგემურ სეზონს ჯერ არ მოვსწრებივარ, წინათ უცხოელ დრამატურგების პიესებს მაინც სდგამდენ და წელს კი არაფერი. „სამშობლო“, „ღალატი“, „ღალატი“, „სამშობლო“. რა უბედურობაა, სწორეთ ვერ გამიგია.

— შეიძლება, სხვა რამე მიზანი ქონდათ?

— შეიძლება! ამბობენ, თეატრის მოსამსახურეებს ორ-ორი თვის ჯამაგირები არ მიულიათ და „სამშობლოს“-გან მოელიან ხსნასაო.

— დიდი საქმე კია ორი თვის ჯამაგირი თუ ვერ აუღიათ. თუ კი ქალაქის გამგეობაში დროზე ვერ იღებენ ჯამაგირებს, ესენი ვისი ბლაკვები არიან?

— არა, ამას თავი დავანებოთ, ერთი ეს მითხარი, რატომ ებნევა ასე დავთარი დრამატიულ საზოგადოებას, რომ ერთ დღეს ათასნაირ განცხადებას უშვებს, ხან ერთ პიესას აცხადებს, ხან მეორეს და ბოლოს ისევ „სამშობლო“-ს უბრუნდება. მე მეგონა, დღეს „ორი ჯიბგირი“ იყო, თორემ შეიძლება „სამშობლო“-ზე არც კი მოვსულიყავ.

— მეც ასე დამემართა. აქ გასაკვირი არაფერია, ძმავ, დრამატიული საზოგადოება ის ხომ არ არის, რომ სთქვას ერთი რამ და მერე აღარ გადათქვას. დაადგენს ერთ რამეს, მერე შეხედავს ამინდს და იმისდაგვარათ იქცევა.

იაკინთე სცენისაკენ მიბრუნდა და გაჩუმდა. უცბათ საშინლათ ამოიკვნესა, გულზე ხელი იტაცა და საცოდავი ხმით მითხრა:

— მიშველე, გაბრიელ! წავიდეთ აქედან, აღარ შემიძლია ყურება, სირცხვილს ვჭამ.

მან ადგომა დაიპირა, მაგრამ მე შევაჩერე.

— სად წავიდეთ! შე ოჯახქორო, აქ თბილა მაინც, მოდი, მოვბრუნდეთ, სცენას ზურგი შევაქციოთ და ისე ვიმასლაათოთ.

იაკინთეს მოეწონა ჩემი აზრი. ორივე მოვბრუნდით და გული დავიმშვიდეთ.

— როგორა ხარ, იაკინთე!

— ძალიან კარგათ, აგაშენა ღმერთმა.

— აბა, ეხლა ვილაპარაკოთ, რა იცი ახალი? ჟურნალისტების კრებაზე იყავი დღეს დილით?

— ვიყავი.

— ბევრი ხალხი დაესწრო?

— სულ ორ ნახევარი კაცი.

— რა ღმერთი გაუწყრათ?

— რა ღმერთი გაუწყრათ და ის რომ იმ დღეს ფლავის გაკეთება ვერ მოესწროთ და აბა ვინ მოვიდოდა? ეხლა, კვირას, 15 თებერვალს, ვართ მიწვეული.

— ფლავი იქნება?

— რამდენიც გინდა. ისეთი ფლავი იქნება, ისეთი, რომ თითებს ჩაატკვერ. განცხადებაც კი გამოუშვეს გაზეთში. უფასოთ ფლავს დავარიგებთ და ყველა ჟურნალისტები მოდითო.

— მე მგონია, ეხლა ყველანი მოვლენ.

— უსათუოთ. ერთიც არ დაკლდება. განახუმრობა საქმეა ფლავი და ისიც უფასოთ? ხმები გავრცელდა, ორი დღეა ჟურნალისტები მარხულობენ თურმე, რომ მეტი ფლავი შესჭამონ.

— ღმერთმა ქნას, ერთი მოვიდენ.

— შენ ეს მითხარი, ჩემო გაბრიელ, იმ დღეს ნავთლუღიდან სროლის ხმა თუ გაიგონე?

— როგორ არა, მეგონა ან სათარხანი მოგვადგა? და ან ქორწილი აქ ვინმეს მეთქი. ისეთი ქუხილი ისმოდა თოფების, რომ შენი მოწონებული, ხომ არ იცი, რა იყო?

— როგორ არა. თურმე საყასბოზე, ვიღაც ძროხების „დოხტური“ ყოფილა, გვარათ კოვლეისკი. ამდგარა ერთ დღეს და ღვინო დაუთვრია. თავი ძალზე გახურებია და გამოსულა ეზოში. საუბედუროთ წინ შეხვედრია აი ის, დაბალ-დაბალი კაცი რომ არის, მარკსს რომ ჩამოგავს...

— რომელი? ვერ მივხვდი?

— აი, ის, ბევრი გაზეთები რომ დააქვს მუდამ, წინათ რომ შავი ბლუზა ეცვა. ეხლა რაღაც ტყავი აცვია.

— ჰო, ვიცი.

— დაუბერია, ყმაწვილო, და ჩაფრენია წვერში, ვინა ხარო, უკითხავს, ქართველი, სომეხი თუ ურიაო. ქართველიო, მას უთქვამს მაშ, ქართველი თუ ხარ, „პადლეცი“ ყოფილხარო. ერთი მიუქი-მოუქაჩავებია კარგათ და გაუშვია. შემდეგ შევარდნილა კამერაში, დაუტაცნია დანისთვის ხელი, დაუჩეხია ხორცები და გარეთ გადაუყრია. შემდეგ უძვრია რევოლვერი და დაუწყია სროლა. ყველანი აქეთ-იქეთ მიმალულან. ბოლოს პატრონები გამოლეკია. გამოსულან სა-

ფარიდან, შეუკრავთ, დაუდვიათ ტრამვაის ვაგონზე და გამოუგზავნიათ შინ.

— გასაკვირი აქ არაფერია, ჩემო იაკინთე, კაცმა ღვინო დაათრო და ჯაი დღე დაადგებოდა!

მე და იაკინთემ, ორივემ გულიანად გადავიხარხარეთ, დგგვიწყდა ყველაფერი. „სამშობლო“-ც და გულზე ზიდებაც. ცოტა ხანს ორივე ფიქრებმა გაგვიტაცა, გულმა აღარ მომითმინა, მინდოდა გამეგო, გათავდა „სამშობლო“ თუ არა და შემოვბრუნდი სცენისკენ. ფარდა ჩამოშვებული იყო. უცბათ ფარდის ქვეშ გამოძვრა ვასო ურუშაძე და პირი დაიღო. ეჰ, ვიფიქრე, ეს არის, ეხლა მოხსნა გურულ სცენების გუდას თავი მეთქი, მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ, ერთი ძალიან ღრმათ ჩაისუნთქა, ხელები გაშალა, მარჯვენა ფეხი აიქნია და დაჰკივლა:

— ღაალა...ტიიი!

საბრალო იაკინთე ისეთი შეხტა, რომ ძლივს შეგრძნეს. ორივეს კანკალი დაგვაწყებინა. ნელა წამოვდექით და მოვემზადეთ გასაქცევათ. იაკინთემ ვეღარ მოითმინა და აკანკალებული ხმით მითხრა:

— აბეფი!... ნაჭდვილათ აბეფი შემოგვპარვია! გავიქცეთ, თავს ვუშველოთ!...

ორივე გავძვერით, მიკადექით კარებს, ჭდა ის იყო, ვასვლას ვაპირებდით, რომ მოგვესმა ვასოს კვილი:

— ხვალ წარმოდგენილ იქნება სუმბათაშვილის „ღალატი“-ო.

მეც და იაკინთემაც ორი უცენზურო სიტყვა მივახალეთ ამის პასუხათ და გავედით გარეთ. ამ უნებლიეთ შეშინებამ ერთი სიკეთე გვიყო, რომ გულის რევა გადაგვიარა.

მეორე დღეს „ღალატს“ აღარ დავსწრებივართ, მაგრამ გავიგეთ, რომ საზოგადოებას ეღალატნა არტისტებისთვის.

**იაკინთეს მეგობარი.**

---

## უქვეშევრდომილესი მოხსენება.

ჯოჯოხეთის მბრძანებელო,
თანასწორო შაჰინ-შაჰის,
(მისი რისხვა არ მოგაკლდეს
და მაღლით წყრომა ალლაჰის)!
მე ფირმანი ერთ დროს თქვენი
უბეს მედო, ვით „ბაშფორთი“,
(იმან ბევრი ამიტეხა
დარდუბალა და „ხლაფორთი“.)
„ონისიმედ“ წოდებულსა,
ყველა მცნობდა თქვენს აგენტათ,
თუმც ბლიკვაძეთ არ ვვარგოდი
და არცა—ბათუმელ კენტად,
თვარა წვრილ-წვრილ ეშმაკებზე
კუდი ნაკლე არ მქონია,
თუმც, გამოვტყდე, თავის ქება
დიდი რა მოსაწონია!
მხოლოდ სიტყვამ მოიტანა
მომიტანეთ სითავხედე,
ამ უსაგნო ლაპარაკის
გაგრძელება რომ გავბედე!..
„დედა-მიწათ“ წოდებული,
მოგხსენდებათ თქვენ პლანეტა!
ამ დიდ ბურთზე, „ჰიჰე“ დაბა
ზუგდიდი თუ იცით, ნეტა?
იცნობთ, იცნობთ, რა თქმა უნდა,
ნაქებს ჯოჯოხეთის კუთხეთ!
ჰო, და...გთხოვ: „ვით თქვენს რწმუნებულს,
ერთი იქით გზა მიკურთხეთ!“
სასწავლებელს, ეპარქიულს,
მსურს, ვეწვიო, როგორც ბერი,
ვითომც მიველ ქალაქიდან
რევიზორი, შესაფერი.
ხელთ მექნება მე პორთფელი,
შიგ-ფირმანი ჩემზე თქვენი
და რასაც იქ ვინახულებ,
მანდ მოგივათ როგორც ძღვენი!
ესე კლასი... (თუმც ამბავი
აგი ცოტა წარსულია,
მაგრამ მაინც...) ჰო, ეს კლასი
ბაზრის ბოლოში დგმულია.
მას ჟამს შინა, რა რომ გაჩნდა
საქალებო აქ ეს კლასი,
გამგეთ დაჰყვა იმ თავითვე
მადამ—პატარაიასი!
იმ ხანიდან—ამ ხანამდე,
დიდის ჯაფის გადამწყვეტი,
ედგაო ის სასწავლებელს,
ვით „ვირხიდა“, ან ბერკეტი!
„იმასქნაო, ამასქნაო“,
გეტყვიან, რომ შეეკითხოთ
და თუ ყველა მართალია,
გთხოვთ, რომ „საიქიოს ჰკითხოთ!“..
მასწავლებელთ პერსონალში
ატყდა ერთი ენის ფხანა...
(ხელობა ეს დიაცთ შვენისთ:
ასეთია ეს ქვეყანა!)
და გაგრძელდა „ღერღა“ ესე;
ორად გახდა პერსონალი:
ერთს თაობდა მამა სამსონ
და მეორეს—გამგე ქალი!
ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა...
აქ „ოკრუგმა“ არ. აცალა:
მოხდა ქექა...და მისთანა
თქვენს მტერს, რაც იქ ვადიშალა!..
მიაბრძანეს ნაჩალნიკა,
ბარე-სამიც, მისი აზრის
და შეიქნა ეს ამბავი
საყბა-კბილო მთელი მაზრის!
(ამასვე აუკვიატეს
ამბავი, შესახებ ქანქრის!..)
ატყდა წერა დანოსების,
„პროშენიების“ შანშალი:
თბილ-ადგილთა შესარჩენათ
იქით და აქით წანწალი.
მაგრამ საქმე არ მოგვარდა
ვერაფერი გაახერხეს,
თუმცა მაინც ოთხიოდ თვით
სწავლის საქმე შეაფერხეს.
ამ საქმეში თვით მთავრობაც
დარჩა რაღაც ულმობელი
და ამ ბოლოს ძლივს ელირსა
სასწავლებელს გამგე ხელი!
მაგრამ ატყდა ისევ ძრომა,
დანოსები უსახელო!
(ამ კუთხეში ხშირი არის
ესე საქმე სასახელო.)
სწერდენ, რომ ის ესდეჩკაა,
ესერი, ან ანარქისტკა,
უამისოთ ვის უნახავს
მოსკოვიდანო კურსისტკა?!
როგორც ეშმაკს, თქვენს რწმუნებულს,
ერთხელ მეც შამომითვალეს,
საბუთად იხსენიებდენ
მოკლე თმასა და სათვალეს!..
ამ უმდაბლეს მოხსენებით
თქვენს წინ რა მოვიგრაგნები,
თუ რამე ზომებს არ იხმართ,—
კმაყოფილი არ ვიქნები!..

**ონისიმე.**

---

## გასართობი.

— მეგობარო, შენ ამბობდი ქალსაც და კაცსაც ერთნაირი დანაშაულობისათვის იჭერენო.

— ვამბობდი და ახლაც ვამბობ!.

— მაშ რატომ ხდება, რომ ქალებს მოკლე თმისათვის იჭერენ და კაცებს გრძელი თმისათვის!

—

— შენი აზრით სოლომონ ბრძენი ყველაზე უფრო ჭკვიანი კაცი იყო ადამიანთა შორის?

— უთუოდ. ხომ გახსოვს როგორ ადვილად გაიგო ორ ქალში რომელი იყო ბავშვის დედა?

—მერე ეგ არის სიბრძნე?! სრულიადაც არა, ბრძენი მაშინ იქნებოდა თუ ბავშვის მამას გამოიცნობდა.

—

— კაცო მენ რომ კითხულობ ეს ვგონებ „შეშლილის წერილებიდან“ უნდა იყოს ამოღებული.

— თითქმის არ შეცდარხარ. სულ ერთია; ერგნელის წერილებია „ივერიიდან“ ამოღებული.

**ლარიბთა თავშესაფარში.**

(სატირიკონიდან).

**პირ. დედაბერი.** რაღა ცხოვრებაა დაია ჩვენი ცხოვრება...

**მეორე დედ.** ნუ გეშინია ქალო, შეიძლება ჩვენც გვეშველოს რამე. ამბობენ დუმაში დეპუტატმა პოლოვცევმა ჩვენზედაც სთქვა ორიოდ თბილი სიტყვაო.

---

## უკანასკნელი წინადადება.

(ბ. ბიკტორ ხუკუას.)

თქვენ მიწვევდით სამედიატორო სასამართლოში რათა დამემტკიცებია ქანქარის მიმასაქნება და მეც თანახმა გავიხდი, მაგრამ საუბედუროთ ბევრი ცდის შემდეგ არ მომყობით საამბანაგო სასამართლოში ძიები კი არ ვიცი. ეხლა გაძლევთ უკანასკნელ წინადადებას ამ წერილის გამოცხადების 5 დღის განმავლობაში გამოაცხადეთ. განაჩენი გაზეთში უნდა იქმნეს გამოცხადებული.

დ. სამ. „სატანა“.

## წერილები პროვინციებიდან.

**სილნაღიდან.**

ამ ჩვენ ობობა რაინდებს
წამოუყვიათ თავები
და დილის ნამზე ქსელს აბმენ
საგმირო სანახავები.
ხუცესი ხელში ბერდანკით,
პატრონტაშ შემორტყმულია,
პოლიციელათ აღკვეცეს...
(პირველათ დასახულია;)
ესეა მოყმე ქიზიყის
მიშიკო ბენაშვილია,
თუ კრამოლნიკი იხილა
ვერ ძოუვიდეს ძილია,
ტოკლაკიშვილსა აგემეს
ჩრდილო ვიატკის ხილია!
მიხეილ ჩვენი ნასიძე,
კაცს რომ გულს ჩაუძერებაო,
ჯერ მოალხენებს, ფრთებს ასხამს,
და მერე გაუწყრებაო!
ვინ შეიკავებს მურიკას,
რომ არ დაიწყოს ყეფაო,
მოწეულს ზვარში ნაგდებმა
ყურძენს არ უწყოს სვლეპაო!
ამა კავშირში წილი აქვს:
მამა ბარნაბოვ ღვდელსაო,
კვლავ ჩიხა-ჩუხი გაუდის
იმის შავრაზმულ გრდემლსაო.
ბნედაძევ, მაისურაძევ
დარჩიაშვილო პეტრეო,
ხელში აიღეთ ჩონგური
რას დაღვრემილხართ ეგრეო.
ზედ დოსმიშვილი დასძახებს
ბაიათს მოსალხენსაო
ფოხრო ჯამფილით ჭაშნიკსა
მოგართმევთ სანატრელსაო!!.
დაჭკარით დაფი ნაღარა
დასძახეთ ჟამიერიო,
წუთისოფელი იგემეთ
მრუდი და წამიერიო.
თორემ წყეული ეშმაკი
უჩინ-მაჩინის ქუდითო
ჩამოფრინდება სილნაღში
თავის მათრახის კუდითო
ძველი თოვლივით გაქრება
თქვენი მოლხენის დღენიო
და ბოლი ღრუბლათ ადგება
თქვენს ზურგზე ანადენიო.

მეწყინე.

—

**ხაშმიდან.** სად გსმენია ძმაო ეშმაკო, „სტრაკიოტეკა“ არსებობდეს გარდა ჩვენი სოფლისა? არსად ხომ! არც ჩვენ გვქონია დღემდე, მაგრამ დღეს როგორც კალენდარში სწერია „სიბნელემ სძლია სინათლეს“. უწინ ჩვენს „სტრაკიოტეკას“ იცი რა ეთქვა? რა ეთქვა და ბიბლიოთეკა! ბიბლიოთეკა იმიტომ ეთქვა, რომ

**ქიამილ ფაშა.**

სამშობლოსთვის თავი დავდევი, ვაჭრობა-მრეწველობა გავმართე, ბოსნიაში აღებული ფულებით ხაზინა გავამსე, და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი ძვირფასი სამსახური მინდოდა გამეწია ჩემი ქვეყნისათვის მაგრამ....!

შიგ წიგნებსა და გაზეთებს ინახამდენ. ახლა კი სტრაკენიკებსა, მამასახლისებსა და მათ „ოფლით მონაგარს“ ინახავენ და იმისთვისაც დავარქვით „სტრაკიოტეკა“. შეიძლება ლამაზი სახელი არაა, მაგრამ შინაარსია ლამაზი!

ჩაქუჩი.

—

**ბაღდათი.** სამწუხარო ამბავი უნდა გაუწყოთ ეშმაკო! გასულ ორშაბათს ბაღდადის ბაზრის შვაგულ ქუჩაში ჩაეფლა ქუთაისიდან მომავალი დელეჟანი. როგორც გამოირკვა ეს უბედურება გამოუწვევია ბ-ნი სტრაკენიკ ფილიპეს ბარგს, რომელიც ქუთაისიდან მოჰქონდა თავისი დუქნისათვის (ჩვეულებისამებრ რასაკვირველია.) საზოგადოთ შენიშნულია მცხოვრებთაგან, რომ დელეჟანის ზედა სართული, თელათ ფილიპეს სადუქნე ნივთიერებას აქვს დაპყრობილი. ახლაც იმდენი ხიბა-ხუბავი დაეწყო და ამასთან გზაც იმდენად მშვენიერი გამოდგა, რომ დელეჟანსი ჩაეფლო და ცხენების გადარჩენის იმედი აღარავისა აქვს. ბარგს კი გადაარჩენს ფილიპეო, ამბობენ და ბაღდადისათვის ესეც დიდი ბედნიერებაა.

გიდრა.

—

**გარეთ კახეთი.**

ძმობილო ეშმაკ! გთხოვ კვლავაც
იხილო ხაშმის არეო,
ივრისა გალმა სოფელში
წისქვილთან აიარეო,
ნათლისა მცემლის უბანში
სიფრთხილით შეიპარეო,
იქ ბრბოსა რასმე შეხვდები
(ხუთიოდეა ბარეო)
მიარტყი შენი მათრახი
სიცოცხლე გაუმწარეო.
მრავალგზის ვთხოვეთ ტიალებს
დაეგმოთ ცუდი მხარეო,
მაგრამ რჩევისა სანაცვლოთ
დღე დაგვაყენეს მწარეო
სხვა რაღაც „ჩაიიმასქნეს“
არიეს მთელი მხარეო...
არვინ დაზოგო, მოსცხე მათ
მათრახი ბოლო მწარეო,
რომ მოინანონ ცოდვები,
ცრემლები ღვარონ ცხარეო.

ჩაქუჩი.

—

**სურამი.** ძმაო ეშმაკო, ჩვენ სოფლად
კინაღამ დველი გაჩაღდა
და ერთი მავნე ცხოველი
საჯოჯოხეთოთ გასაღდა.

ეშმაკეული.

—

**სურები.** ჩვენ დღე გვადგას შენს მტერს იგი, ძმაო ეშმაკო! სხვა რაღა მოგწერო. სტრაკენიკზე თქვენ ვერაფერს დაბეჭდავთ და ბოქაულ-მამასახლისზე მით უმეტეს, ხოლო ჩვენ სხვა არაფერი გვაწუხებს-მშვიდობით!

შენი კალმახი.

## ფოსტა

**სამტრედია.** პურიშკევიჩს.
ერისტოზე და გერმანეზე
გაგვიპირა სწორეთ საქმე.
დაანებე იმათ თავი
და სხვა რამე მოისაკმე.

**სურები.** კ. დოსტიხ. თქვენ იწერებით ჩოხატაურის ბოქაულის მოქმედების შესახებ, (რომელსაც ჩვენ მიერ დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო ვერ ვბეჭდავთ) და თანვე დასძენთ „გაგრძელება იქნებაო.“ გისურვებთ კეთილი გულით, რომ ასეთი საქმის გაგრძელება აღარ ყოფილიყოს.

**ასკანა.** თვითონ იცის, თქვენი წერილის დაბეჭდვა ფრიად მოუხერხებელია. ან კი თითონ განსაჯეთ: რა გაზეთის საქმეა სილიბის. ჯაშს თქვენი ფული ემართოს და არ გაძლევდეს? მშვიდობით!

**ანაგელს.** თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

**ფოთი.** ღილს. იწერებით:

გარეთ ცივა,
თავი მტკივა,
მატარებელი
იქ გაჰკივა.“ და სხ. და სხ.

ამისთანები დამიბეჭდეთო. რაზე გვაწუხებ თქვე დალოცვილო, ან თავს რაზე იწუხებთ?

**ძუთაისი.** ბოლოკს. თქვენი „გამოცანა“ ისეა დაწერილი, რომ «პრეამია» იმას უნდა მისცემოდა, ვინც მას ვერ გამოიცნობდა.

**ყველა ავტორებს.** ვაცხადებთ ავტორების საყურადღებოთ, რომ „ფოსტაში“ მოხსენებული წერილები აღარ ინახება რედაქციაში.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „ზროზა“ ბუსის ქ. № 8. გამომცემელი ბ. ბარდაველიძე.